

სემინარი გახსნა აკადემიკოსმა დავით მუსხელიშვილმა: მოგესხენებათ თემატიკა გახლავთ “ეკლესია და განათლება”. მოხსენება ორია, პირველი მოხსენება მიტროპოლიტ იოანესია “რელიგიური აღზრდა და სწავლა-განათლება”. გთხოვთ, მობრძანდით.

ვიტალი ქაცარავა, სემინარია დამთავრებული, აკადემიის პირველი კურსის სტუდენტი:

მე ბოდიშს მოვითხოვ მეუფეებთან, მე გაგკადნიერდები, მაგრამ რადგან საგანმანათლებლო საკითხებზე საუბარი, მე მივიჩნევ, რომ როგორც ერთ-ერთი ის ადამიანი, რომელსაც მიეცა საშუალება, რომ იყოს ღვთის მეგობარი და ნამდვილად განათლებული, ვთვლი, რომ მაქვს უფლება გარკვეულწილად ჩემი აზრი გამოვხატო და დიდ მადლობას გიხდით ამისთვის. მე მაქსიმალურად შევეცდები მოკლედ ჩამოვყალიბო ის აზრი, რასაც პიროვნების ჩამოყალიბება ჰქვია, ანუ განათლებული ადამიანი, პირველ რიგში პიროვნებაა და რაც შეეხება განათლებას, ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ქრისტესთან, ნათელთან არის თანაზიარი და სწორედ ეკლესიაა, რომელიც სთავაზობს ადამიანს ღმერთს, ნათლის წყაროს და ვისაც ამაში წვლილი მიუძღვის, რომ ადამიანს ხელი შეუშალოს შესთავაზოს ღმერთი, აუცილებლად დიდი ცოდვის ქვეშაა და საერთოდ ადამიანი, რომელიც პიროვნებად ყალიბდება და ჩვენ ვიცით, რომ თუნდაც ამ 70 წლის განმავლობაში, ხდებოდა და მოხდა კიდევ ის, რომ პიროვნება ჩაკლეს ადამიანში და ადამიანს წაართვეს ღმერთი. ანუ ის ეპოქა, რა ეპოქაშიც ჩვენ ვცხოვრობთ ახალგაზრდები, ეს 20 წელია ჩვენ მოგვეცა საშუალება ჩამოვყალიბდეთ პიროვნებად და პიროვნების ჩამოყალიბება დაუსრულებელია, რამეთუ მსგავსი ხდება ადამიანი, როდესაც უახლოვდება ღმერთს და ეს პროცესი ვიცით, რომ დაუსრულებელია, მაგარამ ჩვენ ვიცით, რომ ქვეყანა ბოროტებასა ზედა ძევს, ასევე სიცრუვე და ანგარებაზე და ეს უღვთო კოლექტივიზმი დაპირისპირებულია ღმერთს, რამეთუ უფალმა ბრძანა “ ვინც ჩემთან არაა, ის ჩემი მტერიაო” და არ არსებობს სხვა გზა. ან ღმერთის ან ეშმაკის და ეს პროცესი ხორციელდებოდა, როდესაც უნდოდათ ადამიანში პიროვნება ჩაეკლათ, დღემდე გრძელდება, ეს ბრძოლა დაუსრულებელია, რამეთუ ვინც შეეცდება განთავისუფლდეს ამ უღვთო კოლექტივიზაციისაგან, მე არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, უბრალოდ მე ლაპარაკი მაქვს იმ ვითარებაზე, რაც ოდითგანვე არსებობს. რაც კი ქრისტიანობა იქადაგება, ყოველთვის დევნილია ქრისტიანი, რამეთუ ღვთის გზას გადის და სწორედ ჭეშმარიტების შემმცნებელი თავისუფლებისაკენ მოსწრაფე სული იმ ჯვარცმულ მდგომარეობაშია, რა ჯვარცმულ მდგომარეობაშიც იყო უფალი და იმ მისიონერობას გადის, რა მისიაც შეასრულა უფალმა, გარკვეულწილად მხსნელი ხდება ის ადამიანებისა, რამეთუ თავგანწირვა უკვალოდ არ ქრება და როგორც სერაფიმე საროველი ამბობს, “შენი თავი გადაიჩინე და შენს გარშემო ათასები

ცხონდებიანო”. მე ვფიქრობ, რომ ადამიანი, როდესაც ეტაპობრივად განათლდება, ნამდვილად ჭეშმარიტ სიბრძნეს მიიღებს ანუ ღვთაებრივ ჭეშმარიტებას ეზიარება, ის აუცილებლად დაწაფებულა ქრისტეს და ქრისტეს სიყვარულით, ქრისტეს ნათლით და ქრისტეს გზა-კვალზე შედგომილი ხდება მართლაც რომ ნათელი ამა სოფლისა და ასეთი ადამიანები უნდა აღიზარდოს, უპირველეს ყოვლისა საქართველოში, მე ვფიქრობ და სწორედ აქეთკენ უნდა იყოს იმ ერთეული ადამიანების ღვაწლი მიმართული, რომ გადარჩეს ყველა, ვინც კი შესაძლებელია, რამეთუ ყველა ადამიანი, როგორც მეუფემ ბრძანა, ქრისტიანად დაიბადა და ყველა ადამიანი ხატია ღვთისა და ჩემი დიდი სურვილი და ჩემი დიდი ნატვრაა ის, რომ აღორძინდეს ქართველ ადამიანში, ქართველ ბავშვში პიროვნება, აღორძინდეს ადამიანში ის ღვთის მსგავსება, რომელიც ისეთი უნიკალურია, რომ თვითონ ღმერთმა ინება ჯვარცმულიყო, ისე შეიყვარა ადამიანის თავისუფალი არჩევანი, ადამიანის თავისუფლება, ადამიანის სული და ხატება, მასში ჩადებულ და ამიტომ არავის არ აქვს უფლება, ადამიანში ჩაკლას პიროვნება და განათლებაც სწორედ ამას უნდა ემსახურებოდეს. ბოდიშს ვიხდი, ცოტა გამიგრძელდა, მაგრამ მოკლედ ასე შემოვიფარგლები, რომ ასეთი ადამიანები უნდა დავიცვათ და ასეთ ადამიანებს უნდა მივცეთ გზა, რომ ძალიან ბევრს დაეხმარონ და ძალიან ბევრი გადაარჩინონ და ასეთი ბავშვები უნდა აღეზარდოს, აქეთკენ უნდა იყოს ჩვენი ბრძოლა მიმართული და დიდი მადლობა ყურადღებისთვის და მოსმენისთვის.

მარიამ დიდებულები, ხელოვნებათმცოდნე, სასულიერო აკადემიის პედაგოგი:

დიდი მადლობა ყოვლადუსამღვდელოესნო მეუფენო, ქალბატონებო და ბატონებო, მეგობრებო, მე ხელოვნებათმცოდნე გახლავართ და მეუფე იოანეს რექტორობის ხანიდან სასულიერო აკადემიაში ვასწავლი და ამიტომ ვიცი, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ მისმა უწმინდესობამ და თვით მეუფემ მიგვიწვია მაშინ, იმიტომ რომ გართიანებულიყო სწორედ რწმენა და ცოდნა და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა ეკლესიამ ძალიან მკაფიოდ დააყენა ეს საკითხი, არ გამიჯნა ერთმანეთისგან, არ დაუპირისპირა, არამედ პირიქით მისი უწმინდესობის მოღვაწეობა ამის მაგალითია, ესეც მე მეგონი ყველაზე მთავარია, აქ ვინც ვართ შეკრებილი ყველასთვის ნათელია, რომ თუ რწმენა არ უდევს საფუძვლად და თუ არ არის მიმართული განათლება და ყოველგვარი სწავლა იმისკენ, რომ ადამიანმა დაიბრუნოს ზეცათა სასუფეველი ანუ ღმერთთან დაბრუნდეს, მე მეგონი ესაა მთავარი, მაგრამ აი მეთოდები, პროგრამები, როგორც მეუფემ ბრძანა, აქ არის სირთულე. რთულია მითუმეტეს თანამედროვე სამყაროში, როცა ყველას უკვე თავის აზრი აქვს, იმაზე როგორ ვასწავლოთ ბავშვს თუ არ ვასწავლოთ, აქეთ ფსიქოლოგები გვიტყვენ, იქით მეცნიერები, აი ეს არის ალბათ მთავარი, რაზეც ჩვენ, ვთქვათ მეცნიერებს და საერო პირებს, ჩვენი ძალიან მორიდებული ცოდნით თუ გამოცდილებით, შეგვიძლია

დავეხმართ ეკლესიას, იმიტომ რომ არის რაღაც საკითხები, მაგალითად ბავშვს რომ ასწავლი ცნობილია, რომ ბერნარდ შოუმ დაიბარა, ჩემი ნაწარმოებები სკოლის პროგრამაში არ შეიტანოთ, არ მინდა ბავშვებს ვეუღლო, იმიტომ რომ დაინახა იქ შექსპირი შექუღდათ, ასწავლიდნენ, რაღაცას აიძულებდნენ, მაგრამ, მეორეს მხრივ, სწავლება რაღაცა იძულების ფორმა არის, მის სასარგებლოდ, ისევე როგორც აღზრდა გულისხმობს რაღაცის შეზღუდვას, იმიტომ რომ ეს არაა რაღაც გაიზარდე ბალახით, იმ ბალახსაც ვიღაცა ხან გადაჭრის, ხან მორწყავს, ხან არ მორწყავს, ამიტომ მთავარი ისაა, რომ ამ მეთოდებზე, ამ შესაძლებლობებზე, გზებზე, მიწოდების ფორმებზე იყოს საუბარი. მეუფემ რაც ბრძანა, ეს იმდენად სწორი და მნიშვნელოვანია, ძალიან მომეწონა ლევან ქურდიანის მოხსენება, იმდენად ნათლად და მკაფიოდ იყო აგებული, რაც ძალიან უჭირს თანამედროვე ადამიანს, ბევრს საუბრობენ და მერე რომ გკითხავენ, რა თქვაო, აღმოაჩენ, რომ არ იცი, რა თქვა. ძალიან კარგი იყო და მე ვხედავ აქ ამ შესაძლებლობას, რომ ნათელი აზროვნება და მკაფიო, ლოგიკური აზროვნება სწორედ ამ საქმის სასიკეთოდ. მე მეუფეს ძალიან მინდა დავეთანხმო იმაში, რომ ოჯახი არის საფუძველთა საფუძველი. ჩვენს თავზე ვიტყვი, რა დროსაც გავიზარდე და ეს ჩემი ოჯახი რომ არ ყოფილიყო, მე სკოლა, არ დავასახელებს ნომერს, მაგრამ ძალიან პრესტიჟული სკოლა იყო, არაფერს არ მომცემდა, მასწავლებლების დონეც უკვე 60-იან, 70-იან წლებში უკვე ძალიან დაბალი იყო, აი ესეთი მაგალითად, რომ ვასკო და გამა 2 კაცი იყო, იმიტომ რომ “და” არის იქ, ერთი წავიდა და ერთი დარჩა და ა.შ. ჩვენ ოჯახი გვაძლევდა, მათ შორის ქრისტიანობაზეც ცოდნას, ის რომ ბებიებს დავეყვდით ეკლესიაში ეს ერთი და გვიყვებოდნენ, ეს ბუნებრივი გარემო იყო, ეს არ იყო მერე ძალიან ბევრს დაემართა 90-იან წლებში აღმოაჩინეს ეკლესია, ქრისტეც. ჩვენ ასე ვიზრდებოდით, ეს ყველაფერი ზღაპრად ვიცოდით, თუ მონაყოლად, თუ სურათებს გვიდებდნენ თუ რაღაცნაირად გვასწავლიდნენ, ეს ჩვენი გარემო იყო, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, ეს არის დაცვა ამ ბავშვის, რომ მოხვდება სხვა გარემოში, სადაც სულ სხვადასხვა ადამიანები არიან, სხვადასხვა რელიგიისა თუ ცოდნის, ზოგო ცუდი ადამიანი, ზოგი კარგი, ის, რაც ოჯახმა ჩაუდო, იცავს ამისგან და ეს მართლა ძალიან მნიშვნელოვანია და რა თქმა უნდა სკოლა და მე მგონია მაინც ისევე ამას უნდა დავუბრუნდეთ, რა მეთოდებით და რა გზებით, მეცნიერება ეხლა, 20-ე საუკუნეში უკვე დაისვა, რომ აი ეხლა აღფრთოვანებული თავისი ყოვლისშემძლეობით, გადალახა თავისი ყველა შესაძლებელი საზღვარი, მაგრამ უკვე ალბერ შვეიცარმა დასვა მეცნიერების ეთიკური პასუხისმგებლობის საკითხი და მთელი თავისი ცხოვრება ინანიებდა აინშტეინის ცოდვას, რომ ვერ გააჩერა თავის ტვინი, ნუ ეხლა ესეც ცნობილი ამბავია და ის რომ ეხლა ბატონი პარმენის გამოცემულია, ერთერთ კრებულშია “დიდი მეცნიერები რელიგიის შესახებ” ჩანს, რომ ძალიან დიდი მეცნიერები, მისი უწმინდესობაც ხშირად ახსენებს, რომ შინაგანად მორწმუნეები არიან. აი ეხლაც ეს ცნობილი ამბავი რომ მოხდა, მთელი მსოფლიო რომ შეძრა

ფიქსის მოძღვრების აღმოჩენა, ღვთიური ნაწილაკი დაარქვეს, იქ დაინახეს საწყისი, ჩვენს ხილულ სამყაროში როგორ ხდება რაღაცის შექმნა და ალბათ ეს მნიშვნელოვანია, რომ ეს ძვრები ხდება და უფრო და უფრო ხედავენ იმ პირველსაწყისს ამ ყველაფრის უკან, რაც არის. მე მიმაჩნია, რომ სასულიერო აკადემიაში რომ ვასწავლიდი, კარგი ნიმუშია, როგორ უნდა ეკლესიას, რომ გააერთიანოს სამყაროს სხვადასხვა ცოდნა, თითქოს დაპირისპირებული და ერთი სასიკეთო შექმნას ახალგაზრდებისთვის. დიდი მადლობა.

მიტროპოლიტ დანიელის შეკითხვა: მეუფე იოანეს თეზისებში ლაპარაკია არა მარტო აღზრდაზე, არამედ პედაგოგების აღზრდაზე.

პასუხი: მეუფე თქვენ მართალი ბრძანდებით, ეს არის ერთერთი უმთავრესი პრინციპი “აღზრდელი აღზარდე თავი შენი”. როგორ შეიძლება, რომ აღზრდელმა თავისი თავი აღზარდოს, ოჯახში მშობელი თავიდან ბავშვი იყო და ოჯახური აღზრდის სისტემა არის საფუძველი. თუ ოჯახში არ ისწავლე ბავშვის სიყვარული, თუ ოჯახში არ ისწავლე ბავშვის აღზრდის პრინციპები, სკოლაში უკვე გვიანაა ამის სწავლა. აქ გასათვალისწინებელია კიდევ უნებლიე აღზრდა ოჯახში, როდესაც მშობელი მაგალითს აძლევს, უნდა თუ არ უნდა, როდესაც მშობელი გრძნობს თავის პასუხისმგებლობას, როდესაც რაღაცას თხოვს ბავშვს, როდესაც უკვე სკოლაში მოდის მშობელი, აქ უკვე არის მისი მოვალეობა, სამსახური, თანამდებობა, იცვლება გარემო, იცვლება პრინციპები. ჩვენი სკოლების ერთერთი პრინციპი არის, სკოლაში იყოს ოჯახური გარემო. პედაგოგებისთვის ბავშვები ღვთის შვილები არიან, ეკლესიის შვილები არიან, ჩემი შვილები არიან.რამდენად ვახერხებთ, ეს ძნელი სათქმელია. ჩვენ ამისთვის გარკვეულ ნაბიჯებს ვდგამთ.არის სკოლაში აღზრდელის ინსტიტუტი, აღზრდელები ურთიერთობენ მოძღვართან, გარკვეული პრინციპით ხდება აღზრდელების შერჩევა, რამდენად ეკლესიურია, რა გამოცდილება აქვს აღზრდის. ხდება შეხვედრა აღზრდელების, სემინარები ტარდება. ჩვენს სკოლაში, თბილისში ერთერთი სკოლა არის ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელის, იგეგმება სერია ესეთი მოხსენებების, საუბრების ქრისტიანული პედაგოგების საკითხების შესახებ და თვითონ პედაგოგები გაეცნობიან ცნობილ ქრისტიან პედაგოგებს, მათ მემკვიდრეობას, მოსაზრებებს, მათ გამოცდილებას, გაუზიარებენ დანარჩენებს. ასეთი კონფერენციები საპატრიარქოს სკოლების პედაგოგების ეწყობა განათლების ცენტრის ეგიდით. შარშან ტარდებოდა, არის როგორც საგნობრივი, ასევე ესეთი აღზრდელითი ხასიათის.ეწყობა საზაფხულო ბანაკები, სადაცარაფორმალურ გარემოში ურთიერთობენ პედაგოგები ბავშვებთან. ესეთი ბანაკებია ვთქვათ ბათუმში მეუფე დიმიტრი აწყობს, ილია მართლის სკოლა თბილისში აწყობს და სხვა სკოლები, ასევე გიორგი მთაწმინდელის სკოლა, თან ეცნობიან ბუნებას, ეცნობიან გეოგრაფიას, ისტორიას, კულტურულ მემკვიდრეობას ერთდროულად და მერე კი არ

დასეირნობენ, არამედ ეძლევათ ამ ბანაკში დრო შეაჯამონ, გაანალიზონ, პრეზენტაციები მოახდინონ, რა ნახეს, რა შეიცნეს და რა დამოკიდებულება აქვთ, ფოტომასალას ამზადებენ, ნახატებს აკეთებენ, წერილებს წერენ ბავშვები და ამ პროცესში თვითონ მასწავლებლები იზრდებიან, ასე რომ მშობელი ზრდის ბავშვს და ბავშვი ზრდის მშობელს. ბავშვი მშობელს რომ ზრდის, მაშინ მშობელი ხვდება მშობლის დეაწლს და მაშინ მისი პატივისცემა მშობლისადმი უფრო იზრდება.ის ხვდება, რა შრომა გაწია მშობელმა აღზრდისას, თვითონ ხდება მშობელი. თვითშემეცნების და თვითაღზრდის პროცესი გრძელდება.ვისარგებლებ შემთხვევით და ვიტყვი, რომ ვახსენე ადამი, ზრდასრული იყო, მაგრამ რა ჰქონდა მოცემული ადამს? ესთეტიკური გრძობა. სამოთხეში ყველა ხე იყო მშვენიერი. უფალთან ურთიერთობისას შენ ეს მშვენიერება რომ აღიქვა, მაშინ ხვდები, რომ მისი შემოქმედი მშვენიერია და მაშინ გესმის ფსალმუნის სიტყვა “უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა” ასევე იყო 2 ხე, ხე კეთილი ნაყოფის, მადლიერი უნდა იყო, შენ სიკეთე მიიღე, მადლობელი ხარ და მადლიერებაც ერთერთი გზაა უფალთან ურთიერთობის და მადლობის შეწირვის.შემდეგ არის ხე ცხოვრებისა, უფალთან უშუალო ურთიერთობა, მისტიური ურთიერთობა, ტაძარი, წმინდა ზიარება და სხვა. მადლის წყაროს დავეწაფებით, მაგრამ არის სჯულის შემეცნება, კეთილის და ბოროტი ხის, არის კიდე, უფალი აძლევს კურთხევას, სამოთხესთან მიმართებაში, დაამუშავე და დაიცავი, შრომითი აღზრდაც უნდა იყოს და პასუხისმგებლობაც, დაიცავი, რისგან უნდა დაიცვა? თავისი თავი ბოროტისგან უნდა დაიცვა, ადამმა ვერ შეძლო, ამიტომ ჰარმონია დაიკარგა, ცდუნებას არ უნდა აყოლილიყო, ამის შემდეგ მას ეძლევა კიდევ გონებრივი განვითარების საშუალება, თითოეულ ქმნილებას სახელი უწოდოს, ანუ შეიცნოს, განჭვრიტოს მისი არსი. ეს მრავალმხრივი განვითარების ნიმუში გვეძლევა ბიბლიაში. როდესაც არის ყოველმხრივ სულიერად, გონებრივად, ფიზიკურად, ესთეტიკურად განვითარებულია ადამიანი, მაშინ ხდება სულიერი ადამიანი, ოღონდ თუ ბოროტისაგან თავს დაიცავს. ეს აუცილებელია.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ არაბული:

უკაცრავად საზოგადოებავ ორიოდე წუთს რომ გართმევთ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო დღევანდელი დღე, ასეთ დაძაბულ ვითარებაში ჩვენ პრობლემატურ საკითხზე ვისმენთ ასეთ მნიშვნელოვან მოსაზრებებს. მე ვეთანხმები, რომ ეს არის საწყისი თუ პირველი მარცვალი კონცეფციის ჩამოყალიბებისაკენ. მოგეხსენებათ განათლება იმხელა სფეროა, რომ გეშინია ადამიანს, რითი დაიწყო თუნდაც საუბარი და ბოლო სიტყვად რა უნდა თქვა, რითი უნდა დაამთავრო საუბარი. მე გაუფსძევ ხაზს, რომ თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასო, არის ნათქვამი, ჩვენ იმხელა ტრადიცია გვაქვს,

ქრისტიანული განათლების ისეთი ისტორია გვაქვს, რომ ხშირად კონცეფციების და მოდელების გადმოღება სასაცილოა, ამათუიმ გამოცდილებას რომ ვიზიარებთ და მეორე მხარე, რომ ასევე თეორიის თვალსაზრისით გვყავს, ერთის მხრივ, იაკობ გოგებაშვილი და მეორეს მხრივ, უზნაძე, რომელთაც ინატრებდა ნებისმიერი განვითარებული ქვეყანა და ერი და კიდევ ერთი რაღაცა, რომ თვითონ სიტყვა “განთლება” იმდენად ზუსტად გვეკარნახობს ენის კონცეფტუალურ მარცვალს. განათლებაში თავისთავად მოიაზრება ნათლისღებაც და იმ ნათელი ცოდნის მიღებაც. ამ სიტყვაშია კონცეპტირებული მთელი არსი იმისა, რაც უნდა განხორციელდეს და გაიშალოს მთელ სისტემაზე. მართალია, რომ საკმაოდ უცნაურია ჩემთვისაც, რომ ისტორიულად ის შინაარსი განათლებისა, რითაც ეხლა ვხმარობთ, სულხან-საბას ლექსიკონში არ ჩანს, არ შეუტანია ეს სიტყვა, როგორც ჩანს იმის გამო, რომ მისი ძველი მნიშვნელობა “ნათელი”, “ნათლის მოფენა”, “განათება” და მეორეს მხრივ იყო “ნათლისღება” როგორც ჩანს ჯერ კიდევ არ არის ის მეორე მნიშვნელობით, რომლითაც ის დღეს გამოიყენება, მაგრამ ეს არ ცვლის არსს, უძველეს ჩვენს მწიგნობრობაში “განათლება” სწორედ უკავშირდება, ერთის მხრივ, რწმენასთან ზიარებას და მეორე მხრივ, ცოდნის მიღებას. ცოდნა არ არის თავისთავად განათლება და კაცობრიობაც და ჩვენც არა ერთხელ დავრწმუნებულვართ ამის მაგალითებში. შეიძლება ცოდნა პირიქით იყოს დაბნელება და ეს ინტერნეტსივრცე არის ერთერთი არაჩვეულებრივი წყარო და მაგალითი იმისა, რომ შეიძლება ცოდნის მიღება იყოს პირიქით ადამიანის განათლებისგან გამიჯვნა და დაკარგვა განათლების გზის კიდევ ერთს ვიტყვი, ისე უსაზღვრო თემაა, ჩვენ ხშირად გვავიწყდება, რომ განათლება არ არის ნებისმიერი ენით მისაღები რამე, ეს არის მშობლიურ ენასთან დაკავშირებული. უნდა გვახსოვდეს ჩვენ, რომ განათლება მიიღება ერის წიაღში, მიიღება იმ ენით, რომლითაც ის ეზიარება ჭეშმარიტებას. ეს არის აუცილებელი პრინციპი, იმიტომ, რომ თუ ჩვენ ჩვენს ეროვნულ განათლებას ვაგებთ, მას ვუკავშირებთ იმ კულტურას, რომლითაც ეს განათლება შეიქმნა, ეს არის ერთადერთი ერი, უფლის მიერ ნაკურთხი ერი და მე ამას ვუკავშირებ ძველი ქართული ენის მნიშვნელობასაც. მე განსაკუთრებულ ნაკლად ჩვენი სწავლების, მიმანია, მართალია ქართველი ენა არის, უფლის ნებით, მთლიანი და განუყოფელი, მაგრამ მაინც ჩვენ ჭეშმარიტებას ვეზიარეთ ძველი ქართულით და ძველი ქართული არის აუცილებელი შუამავალი თანამედროვე ქართულისთვისაც ჭეშმარიტების საზიარებლად. გმადლობთ.

ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი დანიელი:

უპირველეს ყოვლისა მე მინდა მადლობა მოვახსენო ჩვენს მომხსენებლებს, რომლებიც შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველოში რეალურად, პრაქტიკულად მუშაობენ იმაზე, რასაც ჰქვია ჭეშმარიტი საგანმანათლებლო ტრადიციის აღორძინება საქართველოში, ესაა მეფე იოანე და მისი გუნდი, ასე

ვიტყვით, რომლის ერთერთი წარმომადგენელიცაა ბატონი ლევანი, რომელთაც დღითის განგებით დაეკისრათ ეს საგანმანათლებლო ტრადიციების აღდგენა და იმ ერთდროულად რელიგიური საფუძვლების გახსენება და ასევე ეროვნული საფუძვლების გახსენება, რომელიც ყოველთვის საქართველოში იყო ძალიან ორგანული, სარწმუნოება ჩვენი იყო განმსაზღვრელი ეროვნული თვითმყოფადობისა და შესაბამისად ყველაფერი, რაც ქრისტიანული სწავლების საფუძველზე იქმნებოდა ჩვენს ისტორიაში, ჩვენს კულტურაში, ყველაფერი ეფუძნებოდა რა, ერთის მხრივ, ჭეშმარიტსარწმუნოებას, მას ჰქონდა ასევე გარკვეული ინდივიდუალური სახე ანუ ეროვნული სახე, იმიტომ რომ ის ეროვნულობა თავისთავად ესარის მოვლენა, რომელიც არის თავისთავად უნიკალურობის გამომხატველი, არის დროსა და სივრცეში და არის განსაკუთრებული ფენომენი. იმიტომ, მე ვფიქრობ, რომ ყოველი პიროვნება და ყოველი ერი თავისებურად წვდება ჭეშმარიტებას, ვთქვათ იგივე ქრისტიანულ სარწმუნოებას, ყველა ერი თავისებურად წვდებოდა საუკუნეების მანძილზე და ამ წვდომაში ყველას აქვს თავისი მიღწევა. სხვადასხვა ერებს სხვადასხვა მიღწევა აქვთ და იმისათვის რომ ამ სემინარების ციკლის სათაური არის “ეროვნული თვითმყოფადობა საკაცობრიო ღირებულებათა კონტექსტში”, იმისთვის, რომ ჩვენ მივიდეთ სარგებლობა მსოფლიოში არსებული სხვა საგანმანათლებლო სისტემების შექმნილი ამ დიდი საუნჯიდან, ჩვენ აუცილებლად უნდა ჯერ ჩვენი ეროვნული თვითმყოფადი ცნობიერება უნდა გვქონდეს და ეროვნული განათლების ტრადიციის განცდა უნდა გვქონდეს და მე ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით მუშაობს დღეს საპატრიარქო. რეალურად მე მეჩვენება, ალბათ მე შეიძლება არ ვიცნობ და ასევე მუშაობენ მეცნიერები დღეს, მაგრამ ძირითადად თანამედროვე მეცნიერები, ხშირ შემთხვევაში სამწუხაროდ, ყოველ შემთხვევაში წახალისება არის უფრო იქითკენ, რომ მეტი ყურადღება იყოს გადატანილი უცხოური გამოცდილების გაზიარებაზე, იმ ტექნოლოგიების, მეთოდების გადმოტანასა და დამკვიდრებაზე, რომელიც ითვლება, რომ თანამედროვე მსოფლიოში არის წარმატებული, მოწინავე, თუმცა რასაკვირველია ამას არ უარყოფს ჩვენი კულტურა, ისტორია, არც წმინდა ილია მართალი არ უარყოფდა ამას, არც ვაჟა-ფშაველა და ჩვენი დიდი მოღვაწეები ამბობდნენ, რომ უნდა გადმოვიტანოთ საუკეთესო, რაც არის ვთქვათ უცხო ქვეყნებში, იქნება ეს აღმოსავლეთი თუ დასავლეთი, ამას არა აქვს მნიშვნელობა, პატრიარქი ხშირად ლაპარაკობს, რომ აღმოსავლეთშიც არის ძალიან დიდი ტრადიციები, როგორცაა ესე ვთქვათ ჩინური კულტურა, იაპონური კულტურა, ინდური კულტურა, ხშირად პატრიარქი ლაპარაკობს, რომ ებრაულ კულტურაშიც არის დიდი და რა ვიცი უამრავი სამყარო. ყოველ კულტურაში რასაკვირველია ძალიან ბევრი რამ არის, რომელიც უნდა გადმოვიტანოთ, მაგრამ მე მეჩვენება, რომ როდესაც ერმა გამოიარა ძალიან მძიმე ისტორია და რა იყო ბრძოლა ეროვნული თვითმყოფადობის დასაცავად, თუ არა ის, რომ შეგვენარჩუნებინა ჩვენი უნიკალურობა, რას ნიშნავს ქვეყნის

დამონება, ქვეყნის დამონება არა არის დამონება, თუ ფიზიკურად დაიპყრობ. ქვეყანა დამონებულია მაშინ, თუ მას თავისი უნიკალური მრწამსი დაცხოვრების წესი თუ შეუცვალე შენ. ამის მაგალითი ბიბლიაში უამრავია, ერთს გავისხენებ. როდესაც ნაბუქუდუნოსორმა წააყვანინა თავისი ესე ვთქვათ, დაავალა რომ გადაეყვანათ ისრაელიდან ბაბილონში ესე ვთქვათ ელიტარული ფენა და დაავალა თვალ-ყური ედევნებინათ, რომ მათ მარხვა არ შეენახათ, ის ამბობდა, რომ ამ ერის ძალა მათ რჯულშია, თუ ისინი თავის რჯულს დაარღვევენ, ამ ერს ჩვენ დავიმონებთ. თუ მათ რჯული შეინარჩუნეს, აუცილებლად დაიბრუნებენ თავისუფლებას. ანუ ნაბუქუდუნოსორმა დაიპყრო ეს მცირერიცხოვანი ერი, ეს პატარა ქვეყანა, მაგრამ იცოდა, რომ ეს არის ღრობითი, მანამ, სანამ მათ აქვთ თავისი ეროვნული ღირებულებები, თავისი თვითყოფადი ღირებულებები და ამის აღმოფხვრა უნდოდათ. სხვა რა იყო ჩვენი ისტორია, თუ არა ბრძოლა ჩვენი ღირებულებებისათვის. დამპყრობელი მოდიოდა და უნდოდა ჩვენი ღირებულებების განადგურება და მთელი ისტორია იყო ამ ღირებულებების დაცვა, მაგრამ, ერთის მხრივ, წმინდა ილია მართალი ამბობს ჭაფჭავაძე, ეტყობაო ჩვენმა წინაპრებმა ძალიან ბევრი ძლიერი ქვა ჩადესო, რომ გავუძელით და გადავრჩითო და დღემდე ცოცხლები მოვედითო, მაგრამ ფხვნილიც ჩაგვიდიაო, რომ დღეს ესე დაკნინებული ვართო, ანუ ერს აქვს ეს ღირებულებები, მაგრამ მას აქვს ასე ვთქვათ ძალიან ბევრი დაზიანებულია, სრულყოფილებას დაცილებულია, ხშირად რაღაც დამახინჯებულია, გაუცხოვებულია ერი საკუთარ თავთან და მე ვფიქრობ, რომ ასეთ დროსგადმოტანა ვიდაცის და მექანიკურად მიღება, როდესაც შენი ეროვნული ცნობიერება, თვითმყოფადობა არა გაქვს გათავისებული, არის ძალიან სახიფათო. ეს ისევ მონობაა, ადამიანმა ისევ თავიდან შეიძლება დაიღოს რაღაც უღელი და მე ვფიქრობ, რომ ეს ძალიან იოლია, რომ უცხოეთში მოწონებული, მსოფლიოში აღიარებული მეთოდები, ტექნოლოგიები გადმოიტანო და დანერგო, მაგრამ ძალიან ძნელია შენ შენი ეროვნული გაიხსენო, ადადგინო, რომელიც დაიკარგა საუკუნეების მანძილზე. მარტო ორი საუკუნე არ ხდებოდა ჩვენი ღირებულებების წინააღმდეგ ბრძოლა, ჩვენი უნიკალური თვითშემეცნების რღვევა, ეს არ იყო ორი საუკუნის შედეგი, ჩემი აზრით. საუკუნეების მანძილზე ასე ხდებოდა და ამ ცნობიერების ქსოვილის აღდგენა ძალიან ფაქიზი საქმეა და შეუძლებელია რწმენის გარეშე და რწმენა ყოველთვის იღო ამ საფუძველში და თუ სადმე ეს კეთდება, ეს კეთდება ისევ ჩვენი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და ერთერთი არის ეს ცენტრი და მე მინდა მაღლობამოვახსენო მეუფეს და მის ყველა თანამებრძოლს და თანაშემწეს, იმიტომ რომ ისინი ძალიან მძიმე საქმეს აკეთებენ, ძალიან რთულ საქმეს, რომელსაც დიდი შრომა უნდა, დრო უნდა, მეუფემ ბრძანა, რომ ეს პროცესია, მაგრამ მთავარია, რომ ეს პროცესი დაწყებულია და დღევანდელი მოსხენებაც არის ამ ეტაპზე განვითარება რაც ერთერთი ნაბიჯია ამპროცესის განვითარების და მე იმედი მაქვს, რომ ეს საქმე აუცილებლად წარმატებით გაგრძელდება და ვუსურვოთ ამ ცენტრს დიდი

წარმატება, რომ დიდი ნაყოფი გამოიღოს და მე ესე ვიტყვოდი, რომ ყველა სასწავლებელი საპატრიარქოსთან არსებული, ეს არ არის მხოლოდ იმ ბავშვებისთვის და იმ მასწავლებლებისთვის, რომლების იქ სწავლობენ, არამედ ესარის რაღაც ლაბორატორია, რომელიც მოდელს შეიმუშავებს და ღმერთმა ინებოს თანდათან განვითარებულიყოს და გვენახოს კეთილი ნაყოფი. დიდი მადლობა.